პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
25 აპრილი
1943 წ.
№ 93 (6718)
ფასი 20 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 1943 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1-ლ მაისს—მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს! მშრომელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად!

2. ძირს ჰიტლერელი იმპერიალისტი ყაჩაღები, რომლებმაც დაარღვიეს ხალხთა შორის მშვიდობიანობა და ომის ცეცხლში გახვიეს ასეულ მილიონობით მშრომელნი!

3. სალამი ევროპის ხალხებს, რომელნიც იბრძვიან ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ! ევროპის ქვეყნების პატრიოტებო, აღსდექით საბრძოლველად, რათა თავი გათავისუფლოთ ფაშისტთა უღლისაგან! დაამხეთ ჰიტლერული ტირანია!

4. ძმებო, ჩაგრულო სლავებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ ჰიტლერელი იმპერიალისტების — სლავთა მოსისხლე მტრების წინააღმდეგ წმიდა სახალხო ომის ცეცხლი! გაუმარჯოს სლავ ხალხთა საბრძოლო ერთიანობას!

5. გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხაბრძოლო კავშირის გამარჯვებას კაცობრიობის მტრებზე — გერმანელ ფაშისტ დამმონებლებზე!

6. გაუმარჯოს სახელოვან ინგლისელ-ამერიკელთა ჯარებს, რომელნიც ანადგურებენ გერმანელ-იტალიელ ფაშისტებს ჩრდილოეთ აფრიკაში!

7. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას, რომელიც გმირულად იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

8. წითელი არმიის მეომარნო! თქვენ მიგელიან, რომელიც განმათავისუფლებლებს, მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომელნიც იტანჯებიან გერმანელ ფაშისტთა უღელქვეშ. წინ, დასავლეთისაკენ, საბჭოთა მიწა-წყლის გასათავისუფლებლად!

9. შური ვიძიოთ გერმანელ ფაშისტ არამზადებზე ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გაძარცვისა და დანგრევისათვის, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობისათვის, საბჭოთა ადამიანების დახოცვისა და გერმანელთა მონებად წაყვანისათვის! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

10. წითელი არმიის მეომარნო! დაუცხრომლად აუმჯობესეთ საბრძოლო გაწვრთნილობა, განამტკიცეთ დისციპლინა, წესრიგი და ორგანიზებულობა ჩვენს არმიაში! ურტყით ჰიტლერელ არამზადებს მანამდე, სანამ სრულიად არ გაულეტთ მათ!

11. წითელი არმიის მეთაურნო! ბეჯითად დაეუფლეთ სამხედრო ხელოვნებას! ზედმიწევნით შეისწავლეთ ჯარის გვარეობათა თანამოქმედების საქმე, ერთმანეთს შეუხამეთ ბრძოლის ველზე პირადი მამაცობა და ვაუკაცობა ჯარების ხელმძღვანელობის უნარს!

12. წითელი არმიის მეომარნო! განამტკიცეთ და გაანავითარეთ ზამთრის ბრძოლების წარმატებანი, არ დაუთმოთ მტერს არც ერთი მტკაველი ბრძოლით მოპოვებული მიწა, ემზადეთ გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის! სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

13. წითელი არმიის ქვეითნო! მძლავრად ურტყით მტრის ჯარებს, განდევნეთ გერმანელები და მათი დამჭაშები საბჭოთა მიწა-წყლიდან!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეითებს!

14. საბჭოთა მფრინავნო — ჩვენი ქვეყნის შევარდნებო! მოიპოვეთ ბატონობა ჰაერში. ულმობლად ანადგურეთ მტერი ჰაერში, მიწაზე, ზღვაში!

გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს!

15. წითელი არმიის ტანკისტებო! ისწავლეთ მარჯვე შეტევა და მტრის ჯარების დევნა! მუსრი ავლეთ მტერს! ათავისუფლეთ ჩვენი სამშობლო მიწა-წყალი გერმანელ დამპყრობთაგან!

გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებსა და მოტორიზებულ ჯარებს!

16. წითელი არმიის არტილერისტებო და ნაღმტყორცნელებო! მძლავრი ცეცხლითი დარტყმებით ანადგურეთ მტრის სიმაგრეები, მისი წინააღმდეგობის კვანძები და დასაყრდენი პუნქტები! ანადგურეთ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა და ტექნიკა!

გაუმარჯოს საბჭოთა არტილერისტებსა და ნაღმტყორცნელებს!

17. წითელი არმიის კავალერისტებო! ისწავლეთ მტრის ჯარების გაბედულად და გადაჭრით დევნა, განადგურეთ გერმანულ-ფაშისტური სიბილწე!

გაუმარჯოს საბჭოთა ცხენოსნებს!

18 სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო! უფრო მძლავრად ურტყით მტერს! ანადგურეთ მტრის ხომალდები და ტრანსპორტები, დაუნდობლად ულიტეთ ჰიტლერელი დამპყრობნი!

გაუმარჯოს საბჭოთა მეზღვაურებს!

19. წითელი არმიის მეავტომატეებო! უფრო მაგრად ურტყით გერმანელ ფაშისტ უაჩაღებს — ჩვენი სამშობლოს უბოროტეს მტრებს! ნუ მისცემთ მათ მოსვენებას ნურც დღე, ნურც ღამე!

გაუმარჯოს საბჭოთა მეავტომატეებს!

20. წითელი არმიის მზვერავნო! გაბედულად იმოქმედეთ გერმანელთა ზურგში! აღმოაჩინეთ მტრის განლაგება და ძალები, გამოიცანით მისი განზრახვები!

გაუმარჯოს უშიშარ საბჭოთა მზვერავებს!

21. წითელი არმიის მეკავშირენო! გახსოვდეთ, რომ კარგი კავშირგაბმულობა მტერზე გამარჯვების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს! ყოველნაირად აუმჯობესეთ წითელი არმიის კავშირგაბმულობის საქმე!

გაუმარჯოს საბჭოთა მეკავშირეებს!

22 საინჟინრო-სასანგრო ჯარების მებრძოლებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო! ყველა საშუალებით დაეხმარეთ საძულველი მტრის განადგურებას!

გაუმარჯოს წითელი არმიის საინჟინრო-სასანგრო ნაწილებს!

23. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებს, საბჭოთა საზღვრების ერთგულ დამცველებს!

24 წითელი არმიის სამედიცინო მუშაკებო! ექიმებო, სამედიცინო დებო, სანიტრებო! გახსოვდეთ, რომ თქვენს თავდადებულ მუშაობაზეა დამოკიდებული სიცოცხლე და მწყობრში დაბრუნება დაჭრილი საბჭოთა მეომრებისა!

გაუმარჯოს წითელი არმიის სამედიცინო მუშაკებს!

25. წითელი არმიის გვარდიელებო! ღირსეულად ატარეთ გვარდიის სახელოვანი დროშები! იყავით მამაცობისა და გულადობის, დისციპლინისა და მედგრობის მაგალითი მტერთან ბრძოლაში!

გაუმარჯოს საბჭოთა გვარდიას!

26. ჯარის ზურგის მუშაკებო! თავის დროზე და ზუსტად ამარაგეთ მოქმედი წითელი არმიის ნაწილები საჭურვლით, საომარი მასალებითა და სურსათით! მთელი ძალ-ღონით შეუწყეთ ხელი წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციებს!

გაუმარჯოს ჯარის ზურგის მუშაკებს!

27. ძმებო და დებო! გერმანელი ფაშისტი არამზადების უღელქვეშ დროებით ჩავარდნილო რუსებო, უკრაინელებო, ბელორუსებო, მოლდაველებო, ლიტველებო, ლატვიელებო, ესტონელებო, კარელებო! გააჩაღეთ საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობის ცეცხლი! ულიტეთ გერმანელი არამზადები!

28. საბჭოთა პარტიზანო ქალებო და კაცებო! გააძლიერეთ დარტყმები მტრის ზურგის წინააღმდეგ, ანადგურეთ რკინიგზები, ხიდები და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ულიტეთ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა! ნუ მისცემთ გერმანელებს ჩვენი სოფლებისა და ქალაქების გადაწვის საშუალებას! გადაარჩინეთ საბჭოთა ადამიანები გერმანელთა მონებად წაყვანას და ჰიტლერელი ჯალათების მიერ გაულეტას! შურისგება და სიკვდილი გერმანელ არამზადებს!

გაუმარჯოს გულად პარტიზან ქალებსა და კაცებს!

29. სსრ კავშირის მოქალაქე ქალებისა და კაცების საყოველთაო სამხედრო სწავლება ჩვენს თავდაცვას განამტკიცებს. საბჭოთა პატრიოტებო — ქალებო და კაცებო! ისწავლეთ სამხედრო საქმე! იყავით სამშობლოს მარჯვე დამცველნი!

30. „მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოვახმაროთ ჩვენი გმირული წითელი არმიის და ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დახმარებას! ხალხის მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ მტრის განადგურებას!“ (სტალინი).

31. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! ფრონტელთა ოჯახებზე ზრუნვა ნახევარი საქმეა წითელ არმიაზე მთელი ჩვენი ზრუნვისა. საყოველთაო ყურადღებითა და ზრუნვით მოვეპყროთ სამშობლოს დამცველთა ოჯახებს!

32. ფრონტისათვის საჭურვლისა და საომარ მასალათა დამამზადებელ საწარმოთა მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ შაშხანების, ავტომატების, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების, ქვემეხების, ყუმბარების გამოშვება! ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!

33. სატანკო ქარხნების მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მიეცით წითელ არმიას უფრო მეტი კარგი საბრძოლო მანქანები! აუმჯობესეთ ტანკების ხარისხი! რაც უფრო მეტია კარგი ტანკები, მით უფრო ახლოა მტერზე გამარჯვების ჟამი!

34. საავიაციო ქარხნების მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მიეცით წითელ არმიას მეტი ავიაგამანადგურებლები, მოიერიშეები და ბომბდამშენები! რაც უფრო მეტია თვითმფრინავები, მით უფრო ახლოა გამარჯვება!

35. ნავთის მრეწველობის მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ნავთის ამოღება! მეტი საწვავი მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას!

36. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! თქვენზეა დამოკიდებული ტრანსპორტისა და ფაბრიკა-ქარხნების შეუფერხებელი მუშაობა. გაადიდეთ ქვანახშირის ამოღება, უზრუნველჰყავით სათბობით ფრონტისა და ზურგის მთელი მოთხოვნილება!

37. მეტალურგიული ქარხნების მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაამზადეთ მეტი ლითონი ტანკებისა, თვითმფრინავებისა, ქვემეხებისა, ტყვიამფრქვევებისა და ყუმბარებისათვის!

38. მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დღითი დღე გაადიდეთ წითელი არმიისათვის ჩაცმულობის და მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საგნების წარმოება!

39. კვების მრეწველობის მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ კვების პროდუქტების წარმოება ფრონტისათვის და მოსახლეობისათვის!

40. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! ზუსტად და თავის დროზე შეასრულეთ მიმოზიდვის ხაზით მთავრობის მიერ მოცემული დავალებანი! დაუცხრომლად განამტკიცეთ სამხედრო დისციპლინა რკინიგზებზე! მოაწყეთ ჯარებისა და სამხედრო და სახალხო-სამეურნეო ტვირთების ტრანსპორტების სწრაფი მიმოსვლა!

41. საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის მუშაკნო! უზრუნველჰყავით ფლოტის, ნავსადგურებისა და ნავმისადგომების შეუფერხებელი, ზუსტი მუშაობა! უფრო სწრაფად მიაწოდეთ ტვირთები ფრონტსა და ზურგს!

42. კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო და მუშა ქალებო! კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების აგრონომებო! ორგანიზებულად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა! მიავღწოთ სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის მაღალ მოსავლიანობას! მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი, ნედლეული მრეწველობისათვის!

43. კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო და მუშა ქალებო, ზოოტექნიკოსებო და ვეტერინარებო! მივაღწიოთ საქონლის სულადობის ახალ მატებას, გავადიდოთ მისი პროდუქტიულობა, მთლიანად უზრუნველვყოთ მეცხოველეობის პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნისა და წითელი არმიის გადიდებული მოთხოვნილებანი!

44. ტრაქტორისტებო, კომბაინერებო, სოფლის მეურნეობის მექანიზატორებო! მთლიანად გამოიყენეთ საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ტრაქტორებისა და მანქანების პარკის მთელი სიმძლავრე! იყავით ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

45. საბჭოთა ინტელიგენციავ! საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო, ინჟინრებო, მასწავლებლებო, აგრონომებო, ექიმებო, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებო! მთელი ძალ-ღონე და ცოდნა მოვახმაროთ გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს!

46. საბჭოთა ქალებო! ზედმიწევნით დაეუფლეთ საწარმოო სპეციალობებს, განუწყვეტლივ ზარდეთ შრომის ნაყოფიერება! შეისწავლეთ საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საქმე, სასანიტარო საქმე, კავშირგაბმულობა! მთელი ძალ-ღონე მოახმარეთ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას!

47. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო! თავდადებით იმუშავეთ ფრონტის დასახმარებლად, დაეუფლეთ წარმოების ტექნიკას, გვიჩვენეთ შრომის დისციპლინის მაგალითები, დაუცხრომლად ისწავლეთ სამხედრო საქმე!

გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

48. გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული სოფლებისა და ქალაქების მშრომელნო! უფრო სწრაფად აღადგინეთ ჰიტლერელი უაჩაღების მიერ დანგრეული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა! აამუშავეთ ფაბრიკა-ქარხნები! ორგანიზებულად ჩაატარეთ საგაზაფხულო თესვა!

49. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში!

50. გაუმარჯოს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

51. გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

52. გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

53. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ განსადევნად!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის მინწსახკომში და სსრ კავშირის მინწსახკომის პოლიტსამმართველოში

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ განიხილეს შედეგები რაიონების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა 1942 წლის უხვი მოსავლისათვის და, შეჯიბრების პირობების შესაბამისად, შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს შემდეგი რაიონები, რომლებმაც გადამეტებით შეასრულეს საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის გეგმა, წარმატებით დაამთავრეს მოსავლის აღება, სახელმწიფო ჩაბარებათა და ნატურანაზღაურების განაღება და კარგ შედეგებს მიაღწიეს საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში.

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ გადასწყვიტეს გადაეცეთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და **მიეცეთ პირველი ფულადი პრემიები:**

კალინინის ოლქის ბეჟეცკის რაიონს,
პრიმორიეს მხარის შკოტოვოს რაიონს.

მიეცეთ მეორე ფულადი პრემიები:

ოზბეკეთის სსრ ალთინ-ყულის რაიონს,
ნოვოსიბირსკის ოლქის ბარნაულის რაიონს.
გორკის ოლქის ვაჩის რაიონს,
ყაზახეთის სსრ ჩუს რაიონს.

მიეცეთ მესამე ფულადი პრემიები:

ტაჯიკეთის სსრ აშტის რაიონს,
ლენინგრადის ოლქის ბოროვიჩის რაიონს
აზერბაიჯანის სსრ ისმაილის რაიონს,
მოსკოვის ოლქის კომუნისტურ რაიონს,
ყირგიზეთის სსრ ოშის რაიონს,
ხაბაროვსკის მხარის სვობოდის რაიონს.

სსრ კავშირის მინწსახკომში და სსრ კავშირის მინწსახკომის პოლიტსამმართველოში

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ განიხილეს შედეგები რაიონების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა 1942 წლის საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის და, შეჯიბრების პირობების შესაბამისად, შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს შემდეგი რაიონები, რომლებმაც გადამეტებით შეასრულეს საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, მოგვცეს პირუტყვის სულადობის ზრდის საუკეთესო მაჩვენებლები და შეასრულეს ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო ჩაბარებისა და ნატურანაზღაურების დარგში.

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ გადასწყვიტეს—გადაეცეთ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და **მიეცეთ პირველი ფულადი პრემიები:**

ყაზახეთის სსრ ბაიან-აულის რაიონს,
იაროსლავლის ოლქის იაროსლავლის რაიონს.

მიეცეთ მეორე ფულადი პრემიები:

გორკის ოლქის არზამასის რაიონს,
ივანოვოს ოლქის ვიჩუგის რაიონს,
ყირგიზეთის სსრ ქარავნის რაიონს,
ტაჯიკეთის სსრ შუროაბადის რაიონს.

მიეცეთ მესამე ფულადი პრემიები:

ჩუვაშეთის ასსრ ალიკოვოს რაიონს,
პრიმორიეს მხარის ბუდიონის რაიონს,
უზბეკეთის სსრ ჯალალ-კუდუკის რაიონს,
საქართველოს სსრ ზუგდიდის რაიონს,
ომსკის ოლქის ულიანოვის რაიონს,
მოსკოვის ოლქის კოლომნის რაიონს.

ქალაქ ინსბერგზეგზე ჩვენი თვითმფრინავების თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

მეტეოროლოგიური პირობები ხელს უშლიდა ფრენას. ამინდი კარგი იყო. ინსტერბურგზე პირველი გამოჩნდა გვარდიის კაპიტან ბოგომოლოვის თვითმფრინავი. ქალაქში შუქი სჩანდა. შტურმანმა ოსენიკოვმა თვითმფრინავი ბომბების დაშენის ობიექტზე მიიყვანა. მან გახსნა ბომბების ლიუკები, თითი დააჭირა ელექტროგადამვადების ფოლაქს, და ობიექტს თავს დაატყდა ცეცხლწამკიდი და ფუგასური ბომბები, ქალაქში ხანძრები გაჩნდა და ძლიერი აფეთქებები მოხდა. ამ დროს შიზანთან სხვა ეკიპაჟები მოფრინავდნენ. ბომბები ერთსა და იმავე დროს დაეყარა ბეგრმა თვითმფრინავმა. როდესაც ინსტერბურგს საბჭოთა კავშირის გმირ მატროსოვის ეკიპაჟმა გადაუარა, შტურმანმა გვარდიის მაიორმა გეზელმან ბეერი ხანძარი დაინახა. ინსტერბურგი იწვოდა და კვამლის ღრუბლებით იფარებოდა.

წარმატებით ბომბავდნენ მიზანს ავრეთვე ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე მოლოდჩის, საბჭოთა კავშირის გმირის სიმონოვის, დანშინის, კრასუხინის და ბევრ სხვა თვითმფრინავის ეკიპაჟები. ინსტერბურგში გაჩენილი ხანძრების შუქი მრავალ ათეულ კილომეტრზე სჩანდა. ეკიპაჟები, რომლებიც უკანასკნელნი ბომბავდნენ ქალაქს, გვიამბობენ, რომ ინსტერბურგი ცეცხლის მთლიან ზღვად იქცა. ქალაქის სამხედრო-სამრეწველო ობიექტებმა და რკინიგზის კვანძმა ძლიერი დარტყმა განიცადეს.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

უკანასკნელი ცნობები

შვედეთში ამერიკელთა მისიის სხოვკოღმა გაემგზავრა

ლონდონი, 24 აპრილი (საკდისი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის დიპლომატიური მისიის შტატი ფინეთიდან სტოკჰოლმს გაემგზავრა. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, ეს გამგზავრება „ადმინისტრატიულ ღონისძიებას“ წარმოადგენს.

ამავე დროს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უარი განაცხადა ეპასუხნა კითხვაზე, დაკავშირებულია თუ არა ამერიკის მისიის გამგზავრება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ფინეთის ურთიერთობასთან.

ლონდონი. 24 აპრილი (საკდისი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, დღეს სტოკჰოლმს სპეციალური მატარებელით ჩავიდა ჭელსინკში აკრედიტებული ამერიკის დიპლომატიური მისიის ყველა წევრი.

ჩერჩილის დეპეშა გენერალ არნოლდისადმი

ლონდონი, 24 აპრილი (საკდისი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილმა შემდეგი შინაარსის დეპეშით მიმართა ამერიკის არმიის საჰაერო ძალთა სარდალს გენერალ არნოლდს:

„აღშფოთებით წავიკითხე ცნობა იაპონელთა მიერ თქვენი მფრინავების გულცივად დაბოცვის შესახებ. ეს ბარბაროსული არაჩვეულებრივი საქციელი განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს, თუ რამდენად ეშინიათ იაპონელებს თავიანთ საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო საწარმოთა და სხვა სამხედრო ობიექტთა დაბომბვისა. არ შემიძლია არ დაგარწმუნოთ, რომ სამეფო ავიაცია მოელის იმ დღის, როცა მას შეეძლება თავის ამერიკელ ამხანაგებთან ერთად დაბომბოს ტოკიო და იაპონიის სხვა ქალაქები და მოუსპოს ამ სასტიკ და ხარბ ერს მისი ძალები, რომელთა საშუალებითაც მას სურს დაანგრიოს ცივილიზებული მსოფლიო. უეჭველია, ჩვენ იმის პრეტენზია გვექნება, რომ ჩვენმა მფრინავებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ ამოცანის განხორციელებაში, რომელიც, იმის მიუხედავად, თუ რამდენი დრო იქნება საჭირო ამისათვის, გულდასმით უნდა შესრულდეს ჩვენი ხალხების გაერთიანებული ძალებით“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისალმება საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ს. მ. ბუდიონისადმი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ერთერთ უთვალსაჩინოეს ორგანიზატორს და წითელი არმიის გამოჩენილ სარდალს—თქვენი დაბადების 60 წლისთავზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გისურვებენ ჯანმრთელობას და ძალღონეს შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ს. მ. ბუდიონის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ს. მ. ბუდიონის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი თვალსაჩინო სამხედრო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას ამხ. სიმონ მიხეილის-ძე **ბუდიონი ლენინის ორდენით**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 24 აპრილი.

თბილისი

სამხედრო კომისარს. პოლკოვნიკ ამხ. ხვიჩიას
სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსს. მაიორ ამხ. ონიანს
საყოველთაო სამხედრო სწავლების განყოფილების უფროსს. კაპიტან ამხ. მარღანიას

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს სს რესპუბლიკის სამხედრო სასწავლო პუნქტების მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 1.287.490 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლის“ ასაგებად.

ი. სტალინი

თბილისი. ევაკოჰოსპიტალი
ევაკოჰოსპიტლის უფროსს. მეორე რანგის სამხედრო ექიმს ამხ. იაშვილს
უფროსის მოადგილეს პოლიტნაწილში. კაპიტან ამხ. მჭედლიძეს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ევაკოჰოსპიტლის პირად შემადგენლობას და ჰოსპიტალში განსაკურნებლად მყოფ მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 110.000 მანეთი შეაგროვეს თვითმფრინავ „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად.

ი. სტალინი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

24 აპრილის ღილის ცნობა

23 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ყუბანში მოწინააღმდეგეს უნაყოფო იერიშების შედეგად ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ძმიმე ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. სისხლისაგან დაცლილ ჰიტლერელთა ნაწილებს აქტიური მოქმედება არ გამოუჩენიათ. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია 2 საარტილერიო ბატარეა და აფეთქებულია მოწინააღმდეგის საწყობი საომარ მასალიანად.

ჩვენი ავიაცია მოწინააღმდეგის აეროდრომებზე, ბომბავდა. ჩვენი თვითმფრინავების თავდასხმის შედეგად მტრის აეროდრომებზე ბევრგან ხანძარი გაჩნდა და ძლიერი აფეთქება მოხდა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ნ ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 8 ძელმიწური და ჩააბუნეს 2 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ერთი ქვეგანაყოფის სნაიპერებმა დღის განმავლობაში გაულეტეს 26 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სნაიპერმა ამხ. გავრილმა 3 ჰიტლერელი მოსპო, სნაიპერებმა ამხ. მონახოვმა და ბელიაევმა ორ-ორი გერმანელი დახოცეს.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით 5 ქვეგანაყოფის მებრძოლები ღამე შეიჭრნენ მოწინააღმდეგის სანგრებში, და მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. წამოღებულია 3 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი და რამდენიმე ათეული შაშხანა და ავტომატი. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დამსხვრეულია გერმანელთა 3 ავტომანქანა და 8 საზიდარი საომარ მასალიანად.

ჩვენი ავიაციამ მეორეჯერ დაესხა თავს მოწინააღმდეგის აეროდრომს, რომელიც გუშინ ძლიერ დაიბომბა. აღნიშნულია ხანძრის 25 ერი და 3 ძლიერი აფეთქება.

* * *

ბელგოროდის რაიონში 30 გერმანელმა მეიტომატემ სცადა შემოღწევა ჩვენი ჯარების განლაგებაში, მაგრამ ოთხი გაარშემორტყმულ და მოსპობილ იქნენ. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა ორ ავტომანქანა და ორ ტანკი ჩააბუნეს. ჩვენ ჯარებმა ქვეითი ჯარის ერთი ასეულის იერიში და ბალაკლიტეს 40 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

პინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გაანადგურა გერმანელთა გარნიზონი. მოკლულია 30 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 7 აპრილს პოლესიის ოლქის პარტიზანებმა ააფეთქეს გერმანელთა სამხედრო ეშელონი, რომელიც ფრონტისაკენ მიდიოდა გაძლიერებული დამცველი რაზმის თანხლებით. დაიმსხვრა 5 ვაგონი, და ორთქლმავალი. გაიმართა სროლა, რომლის დროსაც საბჭოთა პატრიოტებმა 45 ჰიტლერელი მოსპეს.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 25-ე მოტოდივიზიის 35-ე პოლკის ჯარისკაცმა კონრად შმიდტმა განაცხადა: „მარტში ჩვენი სამარშო ბატალიონი ორიოლში ჩამოვიდა და 25-ე მოტოდივიზიის გადაეცა. პოლკების მიხედვით ადამიანთა განაწილება ხდებოდა მოედანზე ყაზარმების წინ. ამ დროს გამოჩნდნენ რუსთა მოიერიშეები. მათ მცირე სიმაღლიდან სროლა აუტეხეს ბატალიონს. სამარშო ბატალიონის პირველმა ასეულმა 20 კაცი დაკარგა მოკლულთა სახით. 45 ძმიმედ დაჭრილთა და 15 მსუბუქად დაჭრილთა სახით. ნაკლები ზარალი არც სხვა ქვეგანაყოფებს მოსვლიათ. მოწინავე პოზიციებზე ერთი კვირის მანძილზე სიწყნარის პირობებში, რუსმა სნაიპერებმა ჩვენ, ასეულის 20 ჯარისკაცი გამოიყვანეს მწყობრიდან.

რუსეთს წამოსვლის წინ ბერლინში გამოვიარე. ჩემი ბერლინელი ნაცნობები ფიქრობენ, რომ გერმანია მალე მიიღებს კიდევ ერთ 1918 წელს ე. ი. დამარცხდება“.

24 აპრილის საღამოს ცნობა

24 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ყუბანში ჩვენი ნაწილები საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლას და მოწინააღმდეგის დაზვერვას ეწეოდნენ. გერმანელ ფაშისტთა ჯარებს იმ ძმიმე ზარალის შემდეგ, რაც მათ უკანასკნელ დღეებში მოუვიდათ, აქტიური მოქმედება არ უწარმოებიათ. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე გერმანელთა 18 თვითმფრინავი მოსპეს.

\

დეპეშები

რუზველტის განცხადება იაპონელების მიერ ამერიკელ ყყვე მფრინავთა მოკვლის შესახებ

ვაშინგტონი, 21 აპრილი (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა რუზველტის შემდეგი განცხადება:

„ულრმესი აღშფოთების გრძნობით, რასაც, ჩემის აზრით, ჩემთან ერთად მთელი ცივილიზებული ხალხებიც იზიარებენ, უნდა განვაცხადო, რომ იაპონის მთავრობამ ბარბაროსულად დასაჯა სიკვდილით ამერიკის შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობის ზოგიერთი პირი, რომელნიც იაპონელებს ხელში ჩაუვარდნენ საბრძოლო მოქმედების დროს. ამერიკულმა პრესამ ეს-ეს არის გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობები ამერიკის მიერ იაპონის დაბომბვის შესახებ, რაც ერთი წლის წინათ მოხდა. იაპონელებმა ტყვედ ჩაიგდეს ამერიკის ორი ბომბდამშენის გუნდები. 1942 წლის 19 ოქტომბერს ამერიკის მთავრობამ იაპონიის რადიოთი გამოქვეყნებული ცნობებით შეიტყო, რომ ეს ამერიკელები ტყვედ წაიყვანეს, საბართალში მისცეს და სასტიკად დასაჯეს. ამის შემდეგ ვიხმარეთ ღონისძიებანი, რომ მოგვეღო ამ ცნობების დადასტურება.

12 მარტს ამერიკის მთავრობამ მიიღო იაპონიის მთავრობის მიერ გადმოცემული ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ეს ამერიკელები სასამართლოს ეცემინა და მათ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს. შემდეგ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ზოგიერთს სიკვდილით დასჯის განაჩენი შეუმსუბუქეს, მაგრამ სხვების მიმართ ეს განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში. ამერიკის მთავრობამ იაპონიის მთავრობისათვის გაგზავნილ ოფიციალურ ცნობაში. უაღრესად გადაჭრით დაჰკმო ეს ბარბაროსული აქტი. მან შეაჯუმბინა იაპონის მთავრობას, რომ ამერიკის მთავრობა ამ ჯოჯოხეთური დანაშაულისათვის პირადსა და ოფიციალურ პასუხისმგებლობას დააკისრებს იაპონის მთავრობის ყველა იმ თანამდებობის პირს, რომელნიც ამ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას იღებდნენ, და თავის დროზე მართლმსაჯულებას გადასცემს ამ პირთ. ჩვენ მტრების მიერ ტერორის გამოყენება სხვა არა არის რა, თუ არ ბარბაროსობა. იაპონიის სამხედრო ხროვის ცდა—დაგვაშინოს ჩვენ ასეთი საშუალებით—სრული მარცხით დამთავრდება. ეს ამერიკელ ხალხს წინანდელზე უფრო მეტ გამბედაობას მისცემს იაპონიის თავხედური მილიტარიზმის გასანადგურებლად. მე (ალბერმწოფეთ დეპარტამენტს მითითება მივეცი გამოაქვეყნოს იაპონიის მთავრობისადმი გაგზავნილი ჩვენი ცნობა".

საღალმწოფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ამერიკის მთავრობის ნოტა იაპონის მთავრობისადმი.

სამომარი მოქმედება ჟუნისში

ალეუირი, 22 აპრილი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის სამხრეთ-და-ავლეთ უბანზე ძალეთრად გამოიყოფა სამი ძირითადი მიმართულება ტუნისა და ბიზერტაზე შესატუვად. შეტევის საწყის პუნქტებს წარმოადგენენ პონ-დიუ-ფასის, მეჯეზ-ელ-ბაბისა და ბეჯაის რაიონები. აქედან ტუნისა და ბიზერტაში მიდის უმოკლეესი და ყველაზე უფრო ხელსაყრელი გზები. გზატკეცილებისა და ყამირი გზების მეტი წილი, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მიდიან, გადის სამი მდინარის—მილიანის, მეჯერდის და ჯოამინის ხეობებზე, აქ დღემდე დარჩენილა ისარივით სწორი ძველი გზები.

პონ-დიუ-ფასის მოსადგომებს იცავს ფკირინე-ბეკრ-მანსურის მთიანი რაიონი, რომელიც მოწინააღმდეგის ხელშია. მთების სიმაღლე არ აღემატება ათას მეტრს ზღვის დონიდან. ამას წინათ ამ რაიონში გერმანელებმა შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მოახერხეს რამდენადმე შეეიეწროვებინათ ფრანგთა ნაწილები და დაეკავებინათ რამდენიმე მაღლები. ფრანგთა ნაწილები, რომლებიც უკანასკნელ დროს გაძლიერდნენ არტილერიითა და ტანკებით, ახლა შეტევითს ბრძოლებს ეწევიან, რათა დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები. მთელი რიგი ტაქტიკური მნიშვნელობის მაღლობები ხელიდან ხელში გადადის. ფრანგები ძალიან კარგად შეეგუენ ომის წარმოებას მთის პირობებში. ტექნიკის ნაკლებობას, რაც ეს ომი საგრძნობი არ არის, ისინი ავსებენ მცირე ჯგუფების აქტიური და ინიციატივიანი მოქმედებით.

ფკირინე-ბეკრ-მანსურის მთიანი მასივის დაკავება გზას გახსნის ტუნისზე შესატევად ჩდნარე მილიანის ხეობის გასწვრივ. მეჯეჯელ-ბაბი მოკავშირეთა ხელშია, მაგრამ ტაბერბისაკენ მიმავალ გზას ხურავს მოწინააღმდეგის ხელში მყოფი ჯებელ-ელ-ანგის მთავრები, რომლის სიმაღლე ყველაზე უფრო მაღალ წერტილში 660 მეტრს აღწევს. უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში ინგლისის პირველი არმიის ერთ-ერთი შენაერთი ბრძოლას ეწევა ამ მაღლობების დასაკავებლად, რომლებიც კონტროლს უწევენ მეჯეზ-ელ-ბაბ-ტებურბა-ბეჯაის გზას და ჯებელ-ზებლის მთიან მასივს, რაც მოკავშირეთა ხელშია. სწარმოებს შეუპოვარი ბრძოლები 717 მაღლობისათვის, რომელიც კონტროლს უწევს ბატერასაკენ მიმავალ გზას.

ამრიგად, პირველი არმიის ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის განუწყვეტელი ბრძოლები სწარმოებს. ამ ბრძოლებს მთებში ღამის ხასიათი აქვს. ეს უმთავრესად ქვეითი ჯარის ბრძოლებია, ვინაიდან ტანკებისა და მძიმე იარაღის გამოყენება აქ ძალიან შეზღუდულია.

ბრძოლები უმთავრესად ღამით სწარმოებს. მოწინააღმდეგე სარგებლობს მთიანი ადგილმდებარეობის უპირატესობით და თავდაცვას ფლობენ ლაბირინთულ ბუნკერებსა და ბეტონის ციხეებს. ბრძოლა ხანგრძლივ ხასიათს ატარებს. ბრძოლა ბოლო ბრძოლამდე ტარდება. ბრძოლა ბოლო ბრძოლამდე ტარდება. ბრძოლა ბოლო ბრძოლამდე ტარდება.

გაააფთრებული ბრძოლები იუგოსლავიელ პარტიზანებსა და ოკუპანტებს შორის

ნიუ-იორკი, 24 აპრილი (საკდესი). პრესის ცნობებით, იუგოსლავიელი პარტიზანები ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში ფართო საომარ ოპერაციებს ეწევიან ოკუპანტების წინააღმდეგ. იტალიელები აღიარებენ რომ მარტში მათ ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში დაჰკარგეს 1.659 კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით და 1.862 კაცი უკვალოდ დაკარგულთა სახით.

ციურიხი, 24 აპრილი (საკდესი). ამ დღეებში იუგოსლავიელ პარტიზანთა დიდმა რაზმმა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ სამხრეთ ჰერცეგოვინის ქალაქ ლიუბინედან განდევნა ოკუპანტთა ჯარები. რამდენიმე სხვა პარტიზანულმა რაზმმა, რომელნიც ქალაქ სტოლაცში შეიჭრნენ, მოწინააღმდეგის გარნიზონი მოსპო და მოელი რიგი სამხედრო ობიექტები გაანადგურა. მას შემდეგ, რაც მტერმა ამ რაიონში ჯარის ძლიერი ნაწილები გაგზავნა, პარტიზანები მთებში წავიდნენ. ბანია-ლუკის დასავლეთით გაერთიანებული პარტიზანული რაზმების ჯგუფმა დაიკავა ქალაქები ოტოჩაც სლუნი და ბრინე.

პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი დავლა, მათ შორის ერთ მილიონზე მეტი ვაზნა, ორი ვაგონი საარტილერიო ყუმბარები და 13.000 ლიტრი ბენზინი.

ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მოქმედი პარტიზანები უკანასკნელ ხანს აგრეთვე მნიშვნელოვან აქტივობას იჩენენ.

ანგლიკიელი ბომბდამშენები საფრანგეთში

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). „ფრანსის" ცნობით, უკანასკნელ ხანს ბრესტში, ბრეტანის მრავალ ქალაქში და ნორმანდიის და პა-დე-კალეს დეპარტამენტების ათობით დასახლებულ პუნქტებში ანტიპატლერული დემონსტრაციები მოხდა გერმანიაში იძულებით სამუშაოზე ფრანგების ძალით წაყვანის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ბრესტში დემონსტრანტებმა ქალაქის მთავარ ჭიუბებში „ბრეტონ ბეჭედი" ამოიჭრეს: „სიკვდილი ჰიტლერს!", „სიკვდილი მოღალატეებს პეტენსა და ლავალს!" ბრეტანის ქალაქებში დემონსტრანტებს საფრანგეთის ნაციონალური დროშები დაჰქონდათ და მარსელიეზას მღეროდნენ. ქალაქ აზენკურში (პა-დე-კალეს დეპარტამენტი) გაიფიცა პეჟოს ქარხნის 5.000 მუშა, რომელთაც პროტესტი განაცხადეს ამ ქარხნის მუშათა ჯგუფის გერმანიაში გაგზავნის წინააღმდეგ.

ფინეთში იზრდება საშინაო სიძნელეები

სტოკჰოლმი, 20 აპრილი (საკდესი). ფინურ გაზეთ „სუომენ სოსიალიდემოკრატიში" გამოქვეყნებულია ფინანსთა მინისტრის მოადგილე რეინიკის გამოსვლა; რეინიკმა განაცხადა, რომ ფინეთში ახლო მომავალში გამოშვებულ იქნება ორი ახალი იძულებითი სესხი. მაგრამ, როგორც რეინიკმა აღიარა, ამ ღონისძიებასაც კი „ვერ მოჰყვება შედეგად სახელმწიფო ფინანსების სრული წონასწორობა" და იგი ვერ შეანელებს ინფლაციას, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ამასთან დაკავშირებით, მთავრობა იმისათვის ემზადება, რომ პირდაპირ ანმოართვას მოსახლეობას ფული. რეინიკის სიტყვით, პრაქტიკულად ეს შემდეგნაირად განხორციელდება:

დანიშნულ დღეს მთელ ქალაქის ფულს, რაც კი ბრუნვაშია, განსაკუთრებულ შტემპელს დაასვამენ. უშტემპელო ფული აღარ იქნება მიღებული. საფინანსო ორგანოები, რომელთაც შტემპელის დასმა დაეკვალთ, ერთდროულად ჩამოართმევენ მოსახლეობას ამ ფულის განსაზღვრულ ნაწილს.

ფინურ გაზეთებში გამოქვეყნებულია აგრეთვე მომარაგების სამინისტროს ცნობა იმის შესახებ, რომ სრულიად შეწყვეტილია ხორცის პურის გაცემა. მაისში კვლავ შემცირებულ იქნება ხორცის გაცემის ნორმა.

უცხოეთის ქრონიკა

უკანასკნელ ხანს საფრანგეთში მასობრივად აპატიმრებენ იმ ახალგაზრდა ფრანგთა მშობლებს, რომელთაც თავი აარიდეს შრომის ბეგარას. ლავალისა და პეტენის მიერ ჰიტლერის მონებად ფრანგების გაყიდვამ ვიშის მთავრობის სხვადასხვა „სამინისტროების" მოხელეთა შორისაც კი გამოიწვია აღშფოთება. ბევრ ამ „სამინისტროთაგანში" მოხელეთა სულ ცოტა ნახევარმა რაოდენობამ დემონსტრატიულად დასტოვა სამსახური.

• • •

მარტში გერმანელებმა იძულებით გაჰგზავნეს გერმანიაში სამუშაოდ 22.000 ჰოლანდიელი მელითონე.

• • •

ინგლისის გემსაშენებში დიდი საბუქსირო გემები შენდება სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის. რამდენიმე ასეთი გემი უკვე ჩადგა მწყობრში. მათ შეუძლიათ დიდ მანძილზე ბუქსირება ყოველგვარი სიდიდის გემებისა, თუნდაც სახაზო და გიგანტური სამგზავრო გემებისა. ტონაჟით ეს გემები საშუალო ზომის საესკადრო ნაღმოსნების ტოლია.

• • •

კანადის მოსახლეობამ სსრ კავშირის დახმარების ფონდში შეიტანა 3.022.000 დოლარი. „რუსეთის დახმარების კანადის ფონდის" კომიტეტთა საქმიანობას ხელს უწყობდნენ ბობით გაზეთები, რადიოსადგურები და ჟურნალ-ბროშურები. საბჭოთა კავშირისათვის უკვე შესყიდულია საერთოდ 2.646.000 დოლარის მედიკამენტები.

• • •

მიუნხენში შესდგა 17 კაცის პროცესი, რომელთაც ბრალად ედებოდათ ანტიფაშისტური საიდუმლო ორგანიზაციის წევრობა. ორ ქალს და სამ მამაკაცს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, დანარჩენ 12 კაცს—ხანგრძლივი პატიმრობა.

• • •

ჰოლანდიელმა პატრიოტებმა ბევრი კარჩაპი ჩასძირეს არხებში იმ მიზნით, რომ გაანელონ იმ გემების მიმოსვლა, რომელთაც გერმანელთა სამხედრო ტვირთები გადააქვთ, და მწყობრიდან გამოიყვანეს რაბების ფარების შექანიზმები ჰოლანდიის მთავარ არხებში.

• • •

ამ უკანასკნელ ხანს დანიაში დაიპატიმრეს 3.000 კაცი, რომლებსაც ბრალად ედებათ „პოლიტიკური დანაშაული".

• • •

ანტიჰიტლერულმა განწყობილებამ ავსტრიაში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. ავსტრიის ყველა ქალაქში დაბანაკებული არიან გესტაპოს და „სს"-ელთა ძლიერი რაზმები. მათი ჩამოსვლა დაემთხვა მოსახლეობისათვის პროდუქტთა გაცემის ნორმის დიდ ხელახალ შემცირებას.

(საკდესი).

მოვიყვანოთ უხვი მოსავალი, გავაძლიეროთ დახმარება ფრონტისადმი

გორელი კოლმეურნეები ეხმაურებიან იაროსლაველ კოლმეურნეთა პატრიოტულ თაოსნობას

გორი („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეთა შორის ერთსულოვანი მოწონება და მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა იაროსლაველ კოლმეურნეთა კეთილშობილურმა პატრიოტულმა თაოსნობამ. კოლმეურნეებმა კისრულობენ ბეგმის გადამეტებით დაამუშაონ მიწა, დასთესონ ჰექტარები თავდაცვის და იმ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდისათვის, რომლებიც დაზარალდნენ ფაშისტი დამპყრობლებისაგან, გაროზარდონ, გასუქონ წითელი არმიისა და განთავისუფლებული კოლმეურნეობებისათვის მრავალი სული საქონელი ბეგმის გადამეტებით.

სოფ. ოხერას კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ფ. ანასტასოვი) იკისრა თავდაცვის ფონდისათვის დასთესოს 5 ჰექტარი მარცვლეული, ხოლო იმ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდისათვის, რომლებიც დაზარალდნენ ფაშისტი დამპყრობლებისაგან, —ერთი ჰექტარი მარცვლეული. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ იკისრა ბეგმის გადამეტებით გაზარდოს და გასუქოს თავდაცვის ფონდისათვის 2 ღორი, ერთი სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და 3 ცხვარი, ხოლო ფაშისტი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდისათვის ბეგმის გადამეტებით გაზარდოს 2 ღორი, 3 ცხვარი და 2 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი.

კოლმეურნეებმა იკისრეს აგრეთვე გაზარდონ და გასუქონ 30 ფრთა ქათამი გერმანელ ფაშისტთაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დასახმარებლად. კოლმეურნე გუთნისდედამ ვანო ტლაშაძემ იკისრა აღნიშნული მიზნისათვის გასუქოს ქათმები და თავდაცვის ჰექტარზე მოიყვანოს 15 ცენტნერი სიმინდი. ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მაშო, მიშა და პეტრე ტლაშაძეებმა, ტუხა ნონიკაშვილმა, თამარ და გიგო დაღელაშვილებმა.

იაროსლაველ კოლმეურნეთა კეთილშობილური პატრიოტული თაოსნობის საპასუხოდ ვალდებულებები აიღეს აგრეთვე დიდი გარეჯვრის, სვენთის, ყარალეთის, ხელოუბნის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

შ. ჩუბინიძე

გადაჭრით გავაძლიეროთ ხვნა-თესვის ბრძოლები

წითელწყაროს („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები იბრძვიან ხვნა-თესვის გეგმების შესრულებისათვის. 13.335 ჰექტარიდან, რაც გეგმით საგაზაფხულო კულტურებისათვის არის გათვალისწინებული, 15 აპრილისათვის მოხნული იყო 6.997 ჰექტარი და დათესილი—5.857 ჰექტარი. საკუთარი გამწევი ძალით ხვნა-თესვა დაამთავრა სოფ. წითელი სანართლის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ნერსესოვი)—დასთესა 138 ჰექტარი.

სოფ. ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა ამხ. ნ. მამაიაშვილი, საკუთარი საშუალებით მოხნა და დათესა 120 ჰექტარი, ხოლო სულ ტრაქტორებით დამუშავებულის ჩათვლით 400 ჰექტარი. სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „ზრამა" (თავმჯდომარე ფ. კიკილაშვილი) ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს—საკუთარი ცოცხალი გამწევი ძალით მოხნეს და დათესეს 110 ჰექტარი.

წარმატებით მუშაობენ აგრეთვე სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკი" (თავმჯდომარე ჯ. სეფიაშვილი), სოფ. ქვემო ქედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. ფადიურაშვილი) და სხვ.

მაგრამ ყველგან ასე როდია. რაიონის ზოგიერთმა კოლმეურნეობებმა ვერ უზრუნველყვეს საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად შესრულება. სოფ. მირზაანის კოლმეურნეობა „კომუნის გზა" (თავმჯდომარე ნ. პაპუაშვილი) 15 აპრილისათვის მოხნული და დათესილი ჰქონდა მხოლოდ 24 ჰექტარი, სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს" (თავმჯდომარე ი. თეთუაძე)—მხოლოდ 15 ჰექტარი.

მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა აგრეთვე ელდარის საბჭოთა მეურნეობაშიც (დირექტორი ამხ. ა. გიგაური). გეგმით გათვალისწინებული 800 ჰექტარიდან 15 აპრილისათვის აქ დათესილი იყო 325 ჰექტარი.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, წითელწყაროს რაიმიწგანმა და მტს-ებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად. მთელი ძალების მობილიზაციით უზრუნველყოთ საგაზაფხულო სამუშაოთა ვადაზე და ძალაი ხარისხით დამთავრება.

ირ. მოლოდინი

კოლმეურნეები შეუდგნენ თამბაქოს გადარგვას

სოხუმი („კომუნისტის" საკ. კორ.). აფხაზეთის ასსრ მოწინავე მეთამბაქოე კოლმეურნეობები იბრძვიან წელს თამბაქოს მაღალი მოსავლის მიღებისათვის. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვადაზე ადრე შეუდგნენ თამბაქოს გადარგვას ნაადრევად მიღებული საღი ჩითილებით.

სოხუმის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ვადაზე ოთხი დღით ადრე დაიწყეს თამბაქოს გადარგვა. გუდაუთის რაიონის ბარმიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 3.400 კვადრატულ მეტრზე გაშენებულ სანერგე და გამოიყენეს კარგი ნერგი. კოლმეურნეობა სამი დღით ადრე შეუდგა რგვას და იკისრა ვადაზე ადრე დაამთავროს ეს მუშაობა.

გ. მერკვილაძე

წნორის მტს-მა ხვნის გეგმა შეასრულა

წნორის მტს-მა, რომელიც ლაგოდეხელთა მოწოდების საფუძველზე ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში ალაზნისა და წითელწყაროს მტს-ებთან, 23 აპრილისათვის ნაცვლად 2.500 ჰექტარისა საგაზაფხულოდ მოხნა 3.010 ჰექტარი. ხვნა გრძელდება.

წნორის მტს-ის დირექტორი გ. ჟღიანაშვილი
პოლიტგანყოფილების უფროსი ტუხაშვილი

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

გეგმის გადამეტებით ათეულ ჯონობით მარგანეცი

ჭიათურა („კომუნისტის" საკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღარო (დირექტორი ამხ. დ. ერგემლიძე) ახალი გამარჯვებებით ხვდება პირველ მაისს.

მაღაროს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების აპრილის ორი დეკადის გეგმა. პირველი უბანი, რომელსაც ამხ. მ. კენჭოშვილი ხელმძღვანელობს, მარგანეცის ამოღების გეგმას 110 პროცენტით ასრულებს. ყიფშიძისა და საყვარელიძის ცვლები დავალებებს 120 პროცენტით ანაღდებენ. განსაკუთრებით კარგად მუშაობს პეროშიდის გადამმუშავებელი ქარხანა, რომელსაც ინჟინერი ა. მოდებაძე ხელმძღვანელობს.

მარგანეცის ამწენდები—ორდენოსანი ბოყოველი, გაფრინდაშვილი, თაბაგარი მარგანეცის მონგრევის გეგმებს 150 პროცენტით ასრულებენ და გეგმის გადამეტებით ათეულ ტონობით მარგანეცს იძლევიან.

ჯ. ჭიოკაძე

აპრილის გეგმა 15 დღით ადრე შეასრულეს

გორი („კომუნისტის" საკ. კორ.). ჯამოს სახელობის გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა წინასამაისო სოციალისტიკურ შეჯიბრების ფარგლებში ადრეგადა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 196,2 პროცენტით გაანაღდა. მარტის საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ქვეშის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ქარხანას საკავშირო სოციალისტიკურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი და მისცა მესამე ჯილდო 30 ათასი მანეთის რაოდენობით.

ამ ჯილდოს საპასუხოდ ქარხნის კოლექტივმა კიდევ უფრო ენერგიულად გაშალა მუშაობა და აპრილის საწარმოო დავალება ორი კვირით ადრე შეასრულა. ამეამად ქარხანა მუშაობს გეგმის გადამეტებით მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაზე.

ბ. ჭიოკაძე

ბოლოდროინდელ ბრძოლებში

ბელგოროდი („კომუნისტის" საკ. კორ.). ბოლოდროინდელ ბრძოლებში ბელგოროდის ოლქის ბევრ ადგილზე ფაშისტური ურდოს ნაშთები ბოლოსანამდე ამოწყვეტილ იქნენ. ბ. ... ...